



572 / 2  
1986

142

1986 ივლისი № 7

ქალიშვილი



ბიზი ბაგვაძორი

### ილია ჭავჭავაძის ცხოვრება

ხმოში სიაკალი. თბი-  
ლისში ჩამოსვლა. პაქას  
პანსიონი. ახრებუბი.



ანამ თბილისში  
სასწავლებლად  
წამოიყვანდნენ,  
პატარა ილია  
მთავართან სია-  
რულს განაგრ-  
ძობდა. ამ ახ-  
ალგაზრდა კაცმა  
მომავალ მწერალს თავი  
სამუდამოდ დაამახსოვ-  
რა. „გლახის ნაამბობში“  
ილია აღმზრდელს ასე  
ავიწერს: „მადლით იყე-  
ნენ სავსენი იმის ჩაფიქ-  
რებული თვალები... წარ-  
მოსადგევი კაცი იყო, გამ-  
ხდარი სახე ცოტა ფერმ-  
კრთალი შქონდა... შავი  
წვერი ჯერ არ წამოზრ-  
დოდა, ისე ახალგაზრდა  
მეჩვენა. თავიდან ფეხე-  
ბამდინ ისეთი სანახაობა  
შქონდა, რომ, როგორც  
მზე მზუფუჭრიტასა, კა-  
ციის გულს ერთის ნახ-

ვითვე თავისაკენ მიიბრუ-  
ნებდა...“  
სხვა დროს ილია სოფ-  
ლის გოგო-ბიჭებში იყო.  
ავტობიოგრაფიაში მწერა-  
ლი გვეუბნება, ხბოში ხში-  
რად დავდიოდით. ბავშვო-  
ბის ეს ტკბილად მოსაგო-  
ნარი დღეები ილიას პოე-  
მა „პაკო ყაჩაღში“ აქვს  
აღწერილი:  
მიდგორში ძროხა ბლა-  
ვილით იშლებოდა, მთის  
ცოც წყაროზე ბავშვები  
ხტომით, მღერით და ძა-  
ხილით გროვდებოდნენ,  
პირს იბანდნენ, მთის  
წყაროს წყლით გრილდე-  
ბოდნენ, ლახანდარობ-  
დნენ, ზეზეულად წაერ-  
დებოდნენ, მერე თამაშო-  
ბას მართავდნენ, ხან ქვას  
ისროდნენ მაღლა, ხან —  
ბურთს... შუადღისას გვა-  
ლვაში ჩამორეკავდნენ და  
ბლა ძროხას, ალაზანში  
ყრიდნენ და თან უკან ჩა-  
ყვებოდნენ... საღამოობით  
დანთებულ ცეცხლს მოუს-  
ხდებოდნენ და მორიგეო-  
ბით თითო ზღაპარს ყვე-  
ლა იტყოდა... იქ გაურგო-  
ნია პატარა ილიას პირვე-  
ლად არსენას ლექსი: „ეგ-  
რეთ გონება ხალისიანი  
არსენას ამბით მე მეზრ-  
დებოდა, მიყვარდა მე ის  
კეთილდღიანი და არსენო-  
ბა მენატრებოდა...“  
სწორედ ამ დროს შეჰყ-  
რია ილიას ციება და ელ-  
ენთა გასიებია. აქეთ-იქით  
ბევრი უტარებიათ, მაგ-

რამ ვერაფერს უშველია და  
მამას თბილისში წამოუყ-  
ვანია.  
ადგილი წარმოსადგენია  
სექტემბრის ის დღია,  
როცა თვალცრემლიანი  
და დანაღვლიანებული პა-  
ტარა ილია მშობლიურ  
ყვარელს ეთხოვებოდა და  
ბაღდადებით მორთულ  
ეტლში ჯდებოდა, რომ  
თბილისისაკენ მომავალ  
გზას დასდგომოდა...  
ილიას მამა, გრიგოლი  
თავის ნითელ ულაც ცხენ-  
ზე ამხედრდებოდა, წელ-  
ზე ქართულ ხმალსა და  
გრძელ ლეკურ ხანჯალს  
შემოირტყამდა, უკან, წელ-  
ში, სევადიან დამბჩას  
გაიყრიდა, რადგან ლეკები  
მთებიდან ისევ ჩამოდი-  
ოდნენ ხოლმე და მიმავალ  
მგზავრებს თავს ესხმოდ-  
ნენ... შავი შალის ჩოხას  
ჩაიცვამდა და იმის კალ-  
თებს ვეჟაკურად ამოი-  
ტანდა ჩოხის ჯიბეებში.  
შარვლის ტოტებს მაღალ-  
ყელიან ყარაბაზულ თეთრ  
ჩემბებში ჩაიკეცავდა, წვი-  
ვებზე ბრტყელ, გრძელ-  
ფორჩბიან ჩალსაკრავს შე-  
მოიკრავდა და კახურად  
ჩატიხილი ყალმუხის ქუდს  
დაახურავდა...  
გზაზე შემოხვდებოდათ  
მიკიტინის დუქნები ფარ-  
ხითა და ღამის გასათევით,  
სადაც დაისვენებდნენ, და  
თუ ცხენები იყო შესაც-  
ვლელი, შეცვლიდნენ.  
ილიას ქალაქში მოსე-

ლამდე ლოჭინის ხევი უნდა გამოველო. დიდ მწვერალს მოთხრობაში „სახარრობლაზე“ ასე აქვს აღწერილი ლოჭინის ხევი ზაფხულში: „დედამინას ბუღი ასდიოდა, თითქოს გაზურებული თინეაო... კაცი სიცხისაგან დაოსებულ სულს ძლივს იქცევდა.

ამისთანა დღეს საქონელგამოშვებულნი ღვინის ურმები იდგნენ მწკრივად ლოჭინის ხევის პირას, ღვეზი წყალი გოლვისაგან ისე მიღლეულიყო, რომ ძლივსღა მოიპარებოდა ქვებთა შორის რიყეზედა. საცოდავი მეურმეები, ქანცაწყვეტილნი სიცხისაგან, გულადმა გამოტილიყვნენ კონკილაზედ აყენებულ ურმებ-ქვეშ. გუბის პირას მდგომი კალთებანული ბიჭები ხის ჯამებით ასხამდნენ წყალს პირდაღებულ, დასიცხულ კამეჩებს, გუბებში რომ ეყარნენ. ხოლო აქეთ ხარები ჩამდგარიყვნენ გუბის პირას, თვალგებხულნი იცოხნებოდნენ და მოუსვენარ ბუზებს კუდით იგერიებდნენ...“

გუბებზე შემოსვედრილი ეს ურმები, ილია რომ აგვიწერს, ან აღზევანს, მარილზე მიდიოდნენ, ან ქალაქში — ნისქვილის ქვებზე. ზოგ მეურმეს კი ღვინის რუმებში მიჰქონდა გასაყიდად. ურმების ქარავანს წინა ურემზე გზის მამალი ეჯდა, რომ ქარავნისათვის ყვილით გათენება შეეწყობინებინა... ეს ურმები ავლაბრის ბაკებში დგებოდნენ და ქარავანი იქ იყო ხოლმე გამოშვებული.

...თბილისში შესულ პატარა ილიას თვალწინ გადაეშლებოდა ქვიტიკრის დიდი შენობები, მრავალი საყდარი, მრავალი ერის ხალხი... შუბაზარში ჩაე-

ლილი, კედელზე მიწოლილ მუშას დაინახავდა, ჩუმად რომ ღლინებდა, ტვირთით მოკაკულს ოფლი წურწურით რომ ჩამოსდიოდა და მუხლი ეკეცებოდა...

თბილისში პირველად ჩამოსული ილიასათვის კენჭი გადაუყლაპებიათ. ილია წერს: „ჩვენში ბევრსა სწამს, რომ თუ ვინც პირველად ქალაქში ჩადის და კენჭს არ გადაყლაპავს, ქალაქი დასცდისო. მეც, ამის დამწერს, გადამაყლაპეს ერთ დროს...“

ილია გადმოგვცემს: ქალაქში ჩამოსვლისთანავე მამაჩემმა ექიმები დავიხსია, მაგრამ ვერაფერს გახდნენო. მაშინ ავლაბრიდან ვილაც ფერშალი მოიყვანეს, კაბა ეცვა, თავზე კარტუზი ეხურა, ჩოფურა იყო, ხატვა რომ ვიცოდე, დავხატავდი, იმისი სურათი ისე ცოცხლად მახსოვს. იმან წამალი დამალევირა, ტყლიპზე რაღაც წამისვა და თქვა: თავის დღეში ამას აღარ გააცეცბოს, და მართლაც, მას



ქარავანი ეღუპარდ ბგვოქაძე

ქაქ. სსრ კ. მარქსის  
სპ. სპ. ბრესკო.

აქეთ ჩემთვის აღარ გაუცდებიაო.

მაშინ სასწავლო წელი იანვარში იწყებოდა და 1848 წლის იანვარში ილია იანიშვესკისა და შაკეს კერძო პანსიონში მიუბარებიაო. ეს პანსიონი საუკეთესო სასწავლებლად ითვლებოდა იმდროინდელ თბილისში. იგი პედაგოგის სახლში ყოფილა მოთავსებული. ილიას ამ სასწავლებელში სამი წელი გაუტარებია. მეტიმეტად მოკრძალებული და ხათრიანი ბიჭი ყოფილა და პანსიონს მალე შეშავებია. იგი სიყვარულით იგონებს შაკეს—პანსიონის გამგებელსა და მასწავლებელს. შაკე გერმანელი ყოფილა, მეტად განათლებული კაცი. გერმანიიდან კავკასიის კორპუსის მეტაურს ნეიტშარტს დაუბარებია თავისი შვილების აღსაზრდელად. მერე თბილისში დარჩენილა და მასა და იანიშვესკის პანსიონი დაუარსებიათ. შაკე მკაცრი კაცი ყოფილა, მაგრამ მოსწავლეებს ისეთი მზრუნველობით ექცეოდა თურმე, ისე ხელს უწყობდა მათს სწავლა-აღზრდას, რომ კლასში მეცადინეობის შემდეგაც არ შორდებოდა, სულ მათთან იყო, ემუსაიფებოდა, უკრავდა როიალზე, რომ-

ლის დაკვრაც მშვენივრად იცოდა და კონცერტებსაც უმართავდა მათ.

არდადეგებზე ილია ყვარულს მიაშურებდა ხოლმე.

მას ქალქიდან სოფელში ჩასვლაც აქვს აღწერილი:

„ორი დღის უკან ჩვენი სოფლის ბოლოებში მივედით. მზე ჯერ ჩასული არ იყო და მთის წვერზედ ცეცხლივით ენთო... ჩემის მინა-წყლის სიომ რომ დამიკრა, გული ამიტოკდა: ის მკა, ის ბარი, ის ტყე, ის მინდორ-ველი რომ დავიხანახე, ავივსე ლხენითა და სიამითა... გული ოდნავ და მეტად ტკბილად მიცემდა. სმენად გადამექცა გულისყური, ყველაფერი ჩემს გარდა თითქოს რალაცას კარგსა და დიდი ხნით დავიწყებულს ამბავს მიაშობდა. იმ დროს რომ კაცს ჩემთვის ხმა გაეცა, მეწყინებოდა...“

ილიას მეგობარი კოხტა აფხაზი ერთგან სწორედ იმ დროს იგონებს, როცა მომავალი მწერალი შაკეს პანსიონში სწავლობდა და ყვარულში არდადეგებზე ჩამოდიოდა.

ილია თერთმეტი წლისა თუ იქნებოდა. კვირადღეს სოფელ კარდანახში ყოფილან და კოხტას მამას


სოფლიდან კარგა დაშორებით მამითადი შტრინი ბიჭებიც იქ ნასულან-და გახურებულ მამითადში დადამებიათ.

შინ რომ ვბრუნდებოდითო, გვიამბობს კოხტა აფხაზი, კარდანახამდე კარგა მანძილი კიდევ გვექონდა დარჩენილი, რომ კოკისპირულმა წვიმამ დაუსვა და ნიაღვარი მოვარდა. სხვა გზა არ იყო, იქვე სოფელ ჩალაუბანში შევებრუნდით და ღამე იქ დავრჩით. მაგრამ მთელი ღამე არ გვიძინებია. იმ სახლში, სადაც ღამე გავათიეთ, რწყილი დაგვხვდა და გათენდა თუ არა, ჩვენი ლოგინებიანად გარეთ გამოვყვარდით, ერთი დიდი კაკლის ძირში გავიშალეთ და ცოტა მაინც გამოვიძინეთო.

ილიას აქ დაუნერია თავისი პირველი ლექსი „რწყილები“, მაგრამ ლექსი დაკარგულა. ლექსში სასაცილოდ ყოფილა აღწერილი იმლამინდელი თავგადასავალი და ბევრი ვიცინეთო. ილიას მაშინვე იუმორის დიდი ნიჭი ეტყობოდა, მოსწრებული ხუმრობა იცოდა თურმე.

ილიას 1851 წელს დაუმთავრებია პანსიონი და 1852 წლის იანვარში შესულა გიმნაზიაში, სადაც მეოთხე კლასში მიუღიათ.

ილია შაკეშვილი



ომ ბედში მეოფი შენ მამად მიგანდეს,  
გვ ვერაფერი სიყვარულია,  
საქმე ის არის, კაცს ის უყვარდეს,  
ვინც ბეღისაგან დანაგრულია!



პიპი პიპინაჲ

# პიპი და წრიპა ჭიანჭველა

თხანაცარა, რქარგისილა,  
დიდი, დიდი ვაცისსეულა,  
ბებიან რომ ავად ვახდა,  
თურმე მინდვრად ვინ ვადენა,  
იცო, ლელა?

— ვინა, გელა?

— ვინ და, წრიპა ჭიანჭველამ.  
რომ მობრუნდნენ იმ მინდვრიდან,  
თხამ თქვა:—მეე! წვალი მინდა!—  
თურმე, სეჟში წელიის სასმელად  
ვინ ჩაუძღვა, მიხვდი, ლელა?

— ვინა, გელა?

— ვინ და, წრიპა ჭიანჭველა.

— მერე?

— მერე თხანაცარა,  
დიდი, დიდი ვაცისსეულა,  
ბებიანქემს სად შეეძლო,  
სადამოს რომ მოეწველა...

— მაჲ, თქვი, გელა, ვინ მოწველა?

— ისევე წრიპა ჭიანჭველამ.  
რმეც იმ წრიპამ მოუღულა,  
კოვსით ახვა ნელანელა.

უთხრა:—ბები, ნულარ სწუხარ,  
მოგარჩენო უჭეველად!

ბებიან რომ მოიკეთა  
და თანდათან უკლო სველამ,

— ნუ დაბტოვებ, ჩემო ერთავ!—  
შეეხვეწა ჭიანჭველას.

კარგად იცი, ვინც მუავს ქვეუნად,  
შორს, ქალაქში ცხოვრობს უველა.

წრიპას რალა უნდა ეენა,  
დღემდე ადგას თავს მოძულელად...

გულში მწარედ მოხვდა ლელას  
ეს სიმათლელ ზღაპრად თქმული.  
ცრემლიმა თვალი დაუსველა,  
ვერ დაფარა საუფედური;  
შეიჭმუნა შუბლი მკაცრად  
და შეესძახა:—იცო, გელა,  
შენ და იმ შენს დედამამასაც  
გჯობთ ის წრიპა ჭიანჭველა!

მხატვარი ლალი ლომთაჲ





# თუთიყუშ ჟაკოს თავბაღასაკლი

1909. 1910

მამუბა სალუპაძე

მხატვარი სოფიო კინწურაშვილი

ჟაკი დანიის დედაქალაქში, უნდა ითქვას, რომ დიდხანს დაყოვნდა, ფერნანდო პოზე ფიქრებს მიეცა და გულმოკლული ძლიერ დაღონდა. განსაკუთრებით უპატრონობას და უჩვეულო ბედს უწიოდა, იჯდა ტოტზე და ქანაობისგან თავბრუ ეხსმოდა, ისე შიოდა.



ყოფნა-არყოფნის დადგა საკითხი და თუთიყუში, როგორც 'ჰამლეტი', ეძებდა საშველს, ან უფრო საჭმელს, — თუნდაც ომლეტი<sup>1</sup>, თნდაც ვალეტი<sup>2</sup>, ნატრობდა იგი და უცებ, მართლაც, ვილაც გამხდარმა, ჩია ვაჭარმა, დაუძახა და გამხმარი, მაგრამ გასაოცარი პური აჭამა.

ვაჭარმა ერთი ნაჭერი პურით ჟაკო გააძლო და გამოკვება და შეძლო კიდევ ჩიტის უმანკო და მიამიტი გულის მოგება.

მათ მთელი წელი ერთად იცხოვრეს, და წლის მიწურულს, როცა ვაჭარმა ჟაკოს რაც ასვა და რაც აჭამა, იანგარიშა და შეაჯამა,

ძვირი დაუჯდა ჩიტის შენახვა, ანდა რამდენ ხანს უნდა ენახა, და გადანყვიტა, ვინმე მსურველი, კარგი მუშტარი გამოენახა.

მონახა კიდევ დანდელი დენდი<sup>3</sup> და მას მიჰყიდა ჟაკო კრიჟანგმა, ეს სენდი სკოტი კოპენჰაგენში იმყოფებოდა თურმე იმჟამად.

ამპარტავანი შოტლანდიელი ერთ დროს ლონდონმა მიიღო მკაცრად, აითვალწუნეს ერთბაშად იგი, და ამჯობინა სენდიმაც გაცლა. თუ არ ხიბლავდათ ლონდონში სკოტი, არც სკოტს ხიბლავდა დიდად ლონდონი, მას მოვეტონად მიაჩნდა თურმე რაც ლონდონისთვის იყო ბონტონი.<sup>4</sup> ლონდონზე მეტად სკოტს ედინბურგი აღფრთოვანებდა და იტაცებდა;

აქ ბერნისის<sup>1</sup> ცოდნით თავს იწონებდა უფრო ქალღმერთს, ვიდრე კაცებთან. თუმცა გარჩევა შოტლანდიაში ჭირს, ვინ ქალია და ვინ კაცია, ყველა ლედისა და ყველა ჯენტლმენს<sup>2</sup> აქ ერთნაირად კაბა აცვია.

ჟაკო ეტიკეტს სულ არ იცავდა, სენდი სკოტს ხალხში ხშირად არცხვენდა,<sup>3</sup> და ამიტომაც თურმე პატრონი ერთხელ ძალიან გაუწაფინდა.

და ასე უთხრა: გულ ბაი მაი დარლინგ,<sup>4</sup> შენ ასე ქცევის არ გაქვს უფლება, და რახან ჩემთან ყოფნა არ გინდა, გაფრინდი, გაძლევე თავისუფლებას.

— ბაი-ბაი,<sup>10</sup> — ღიმილით უთხრა ჟაკომ და გაფრინდა, ანდა სხვა რა გზა ჰქონდა, გამოეთხოვა იქაურობას, თუმც დაავინყდა შევლა დრაკონთან...

და შოტლანდია ისე დატოვა, რომ „ნახევამდისაც“ ვერ უთხრა ნესის,<sup>11</sup> საბრალო თურმე დღემდე განიცდის, ლოპ-ნესის ფსკერზე ოხრავეს და კვენესის.

ირლანდიისკენ მიმავალ ჟაკოს ტყის პირას შეხვდნენ „მინდვრის ბატები“,<sup>12</sup> კანადიდან და ამერიკიდან დაბრუნებული ემიგრანტები.<sup>13</sup>

1. პამლეტი — შექსპირის ტრაგედიის გმირი მუალანის პრინცი.

2. ომლეტი — ფქვილა და რძეში ათქვეფილი კვერცხისაგან მოზადებული კერძი.

3. ვალეტი — ნამცხვარი.

4. დენდი — დახვეწილი მანერების მქონე, უზალოდ ჩაცმული კაცი (ინგლისელი).

5, 6. მოვეტონი და ბონტონი — ცუდი ტონი და კარგი ტონი (ფრანგულად).

7. რობერტ ბერნისი (1759-1796) — უდიდესი შოტლენდი პოეტი.

8. ლული და ჯენტლმენი — ქალბატონი და ბატონი (ინგლისურად).

9. გულ ბაი მაი დარლინგ — მშვიდობით, ჩემო ძვირფასო (ინგლისურად).

10. ბაი-ბაი (ინგლისურად) — ნახევამდის (აგდებული ტონით).

11. ნესი — რაღაც უცნობი ცხოველი, ზღვის ურჩხული, რომელიც ვითომ ლოპ-ნესის ტბაში ბინადრობს.

12. მინდვრის ბატები — ასე ეძახიან იმიგრანტებს ირლანდიაში.

13. ემიგრანტი — საშობლოდან შორს, უცხო ქვეყანაში მცხოვრები ადამიანი.



## დიდას არჩვენი

იყო ერთი ხელმწიფე, დიდი ქონების პატრონი. ძე აღარ ესვა, მაგრამ შვილიშვილებით ბედნიერს უღორბლო სიბერე ჰქონდა. მინც დედაკერიანდა; თანდათან უნდაბი შეიქნა, ლხინსა და ღარბაზობას განერიდებოდა. დედა ჰყავდა ბრძენი დედაკაცი.

ერთ დღეს დიდ წვეულებაზე შეუსწრო დედამ, რა ნაღულიანად გადასცქეროდა ხელმწიფე სასახლის შიდა ფოკში მოღებნილ თავისიანებს. მკმუნვარე იყო, და ხნიერი ხელმწიფე მინც წამოუდგა დედამისს, ყელს მოეკლო მკლავითა, დააბრძანა. თაყვანი სცა.

ლაიჭირა დედამ შვილის მზერა, მათს თვალწინ მბრწყინე წვეულთ მოაჯირიდან გადახედა და თქვა:

— შენი ძეთა ძენი მოწყვეტილ ვარსკვლავებს ჰგვანან. მჯერა, გონებასთან ერთად გულის სილობც დაჰყვით, რაღა გაქვს საწული?

— პირდაპირ გეტყვი, პატრონო დედა: თანდათან მემნელო სამეფო ტახტის მემკვიდრის შერიგევა; ერთიმეორეზე ზრდილნი არიან და მწყაზარნი, კეთილნი და აღერსიანნი.

— ზნეა მათგარი ადამიანში! — თქვა დედამ. — ასე არა გამჭირვებია რა, დედაჩემო, — დასძინა შვილმა, — ერთი მათგანის უპირატესობით გავანაწყენო დანაჩენნი... მერე მე მოკვდე, და ჩემი ქვეყანა გარდაიფხვრების მათი გულნაწყენობით.

მაშინ დედამ თქვა:

— გავკანდიერდები, შვილო ჩემო: თუ გაიმეტებელი და საწუქრად დამითმობლი დიდდებისეულ მზითვის კილობანს? 365 სინატიფეა შიგოქრომქვედლობისა, ადამიანის თვლით უნახავი.

— სულაც თქვენი საკუთრებაა, დედაე-ბატონო, გნებავთ, ეუბრძანებ. — ახლავე გაახლებენ! მულმომოვლებული გორგოლაქებით, ორმოც კარში გამოტარებული შემოაგორეს ზარდახმადან დიდდების საკურტლე, ძვირნაფასები, — ხელწმინდად განათალი, პატროსანი თელებით შემკული კილობანი, — ზედ მოაჯირთან.

სიოზე ჩამოდგა. და ბრძანა მოხუცებულმა დედულალმა: — ჩემს ძეს — ხელმწიფეს, თქვენივის





დაულოცნია, ყველას გასწვდება საბოძვარი, სა-  
ძღვნილ მორთმეული; ვერვისგან დანათვალი.

და ზემთისა წყაროსებრ მოწყრილღე გადმოსკ-  
და მოაჯირიდან მაგიდის ხავერდზე საუნჯე  
რჩეულთა რჩეულ უფლისწულთაკენ. „მოდო-  
და მარგალიტი მოფანტული, მონაყარი“... სამე-  
ფო ოჯახისწვილთა გულები სიხარბის ქინმა  
მოიცვა. ეცნენ, მიატყდნენ... საღლა იყო გვარი-  
შვილობა. რის თავაზი და მოკრძალება ზეღა-  
ხოკვით, წაკვრა-წატანი დაიტაცეს. ზოგმა  
მორცხვად, ზოგმა თავგასვლით ირგუნა დღლოფ-  
ლის ბოძებული, ზოგმაც - გამგელებით. და თით-

ქოს ძილიდან გამოფხიზლდნენო, — ბოლოს ში-  
ნისაკენ იჩქაროდნენ ცალ-ცალკე. გამაღვებით,  
თავდახრილი. საკუთარი თავისა რცხვენოდნოთ  
თითქოს. ცარიელი იყო მაგიდის ხავერდი.

ერთი ვაჟი, შეწუხებული ანგარებიანი სტუმ-  
რობით, განზე გამდგარიყო. დროდადრო ვისმეს  
თულა შეველოდა, რომ ადამიანის სახე-იერი  
დაპრუნებოდათ ნაბრძოლ-ნაჭიდავებთ, სიხარ-  
ბეგაზნილებს. ქუყადამჯდარი ბრძენივით გულ-  
შემატკივრობდა კმაწვილი.

და დღემ ბრძანა:

— აგერ, შვილო, ეგ სამეფო კაცია!

ამთავილ მარაილიზილი

## ზავსული

გაგანია ზაფხულია,  
მზე ცვესლივით ეღვარებს.  
მთა და ბარი სიცხით იწვის,  
სცივით მხოლოდ მწვერვალებს.  
შუადღისას მდინარეში  
ბანაობით ვსარობდით.  
ასლა უველა გულს ვივრნილებთ  
ცივციველა წყართით.



# პიონარი

ისე იხიდავს შხაის  
 კარგი ლექსი და სღაბარი,  
 როგორც მის ფიქსიანს  
 ფუნთუშა, რბეში და მბაღი.  
 ცნობისმოყვარე კოკოს  
 რის ცოდნა აღარ სწყურია:  
 — ცალ ფეხზე რად დგას სოფო?  
 — ჰატრონს როგორ სენობს მურია?  
 — რა ძალა იჭერს ცაში  
 შუეს, მოფარეს ან სხვა ჰლანტებს?  
 — თაფლს ფუტკარივით, სკაში,  
 სხვა შწყური რად ვერ აკუთებს?  
 ბებიცა ახლაც ისეთ  
 ამბის მოყოლას ამთარებს.  
 გარეთ გავა და შუისვე  
 ეადარეეს შხაი ჰატარებს.

როგორც კი საჯიხვეში  
 შხემ ნისლით მარლა დაფლითა,  
 შხაი, ჭინჭილით ხელში,  
 „შოთას წყაროსკენ“ გაფრინდა.  
 შხაის იქ დახედნენ ქიცა,  
 ირმა, ვანიკო, იავო:  
 — შე ერთი რაღაც ვიცო,  
 უნდა თუ დამიჯობოთ, ადამიბოში!  
 დიქუთა თხრობა სულა,  
 როცა სინუე გაბეჭდა:  
 — შეველ დროში, თურმე, ვველა  
 ტიტველი დატანტალებდა.  
 ირმას სიცილი წასკდა:  
 — აუ, რამდენი ფოთინე...  
 ისე კვითხარი, თოვლიში  
 არ ჰქალედი, სანუეებს, სიციფე!  
 ვერ მოგატყუებ, ვერა,  
 თუ და ხარ, მორჩი მოდიდის!  
 — ჰო, ჰო, ქსოვა და კურვა  
 კაციძეილს არა სციდინა!  
 ამ დროს, კალაიით მკლავზე  
 შხაის ბუბა გამომნდა,  
 იგი კაკლის ქვეშ, ჰეხზე  
 ბაღლებს ახლო მამოყდა.  
 — რას დავობთ, კუდრატუბო?!  
 მიმართა ტუბილად ვინაწილებს.  
 — შესის ნაწყვეს ვეუბი ბუბო,  
 ნეტა ამით რა აციხობთ.  
 — შხაი არ ცერობს, არა,  
 რაც გითხნათ, მართალი არი,  
 შეველ დროში, სულ სხვაგანად  
 ცსოფროდად ადამიანი.  
 ტან-ფეხზე სიმ არ ვევა,  
 არც ხაზლი ჰქონდა, არც კარი,  
 ველურ გარეშით და კაკალით  
 კვებებოდა სანუელი.  
 მერე... როდესაც ხალხმა



მამბარაი ნანა ბუბულთა

ცვეხლის დახუბა ისწავლა,  
 დრო დატროილდა წაღმა,  
 ქვეყნის გამოიცვალა.  
 გაცმა და ჭაღმა სულში  
 ქვის იარაღი აიღო,  
 მოკლა ირემი ტყეში,  
 და შწყვადის ვუბო გაივო.  
 გამომინა თავი  
 ერთ დიდ საქმეში იმ ხანამ:  
 ხალხმა ცხოველის ტყუი  
 ტანისაშოსად იმბარა.  
 — არ იცოდნენო კურვა,  
 შხაი, შენ ასე არა თქვი?  
 შხაი:— ვთქვა, იმ დროს, ვჯრაც  
 არ ჰქონდათ ნემსი, მახათა,  
 ტყუიის ვუბას თუ ჰერანეს  
 ბლანდელენ კატარბადიო!  
 — რაღაც არ მეყრა,— ირმა  
 წამოსტკა, წამოთავაუდა,  
 ცხვარი სიმ იუო, მის მატელს  
 რატომ არავინ ართოდა?!  
 ბუბა: შხაი არ თქვა?  
 ქსოვიის ხერხს არვინ იცნობდა,  
 მამასადაზე, დართავც  
 ბოჭკოსი არვინ იცოდა!  
 — ბოჭკო რა არის, ბუბო?—  
 კვლავ ანცობს ირმა, არ ვჯრება.  
 — ვეულაფერს ბოჭკო ჰქვია,  
 რისებანაც ნართი შხადება!  
 ვადრე სელობა დართავის  
 უცნობი იუო სნულებით,  
 ხალხმა მატელისკან ნართი  
 შესიორნლა სულის კულებით.  
 მერე ფაფუკი ნართი  
 ღობურად მისლართ-მოხლართო  
 და ეს ქსოვილი— ხლართი  
 კანაბაც ეცვა, ზოხადაც.  
 და ამ ზონით და კაბით  
 თავს იწონებდნენ, ხარობდნენ.  
 ირმა: სიცხეში მატელის  
 ტანსაცმელს რაგორ სმარობდნენ?  
 — ქართულ ტომს შალის კაბა

სიცხეში დიდნის არ სცმა,  
 რადგან მან სწლიც, ბამბაც,  
 მსუბუქ ხამოსად აქცია.  
 ბეფი გველია თურმე  
 სულმდებლანი მიინარი.  
 ქიცა:— მიინარი რაა,  
 ან უფრო სწორად, ვინ არის?  
 მიინარი ჰქვია ოსტატს,  
 ვინც იცის ნართის შხადება,  
 მიინრობის კარგად ცოდნა  
 კაცს მუდამ გამოადება.  
 მოწყა სხლისი სსოვანა,  
 ერთობი მირველთავანი,  
 ქართული იუო, ქსოვიის  
 რომ დაურწია აჯვანი.  
 მუწყეშეში ნახვან  
 აღამაქინადე ამრეშეშს,  
 მწით რომ კვხილავს ახლაც  
 მდე მტერს და ორგულს ძალზე მურს  
 ნართი სიმ სუგად გეჰინდა,  
 სხედანსვა, ფურად-ფურადი,  
 ვერცხლის ქსოვილებს ვქსოვდიო,  
 ოქროს ქსოვილებს ვქსოვდიო,  
 ტანსაცმელს მათგან ვეკურავდიო!  
 მთელს ქვეყნამ იცის,  
 რომ შეეეს საქართულოსას,  
 რუანსზე მეტი წლის წინ,  
 ბავაღლოს კაბა ექოსა.  
 დღესაც ბეფი გვაქვს ძალზე  
 ქსოვილი სხივებშიფინარი,  
 იწება ვინმე სხელ-სრე  
 თქვენებანაც გახდეს მიინარი.  
 მგული ამამაი მოკლად,  
 უშმა მოფოჯალე ბოლომდის,  
 ახლა მინ წავალ, თორემ,  
 უკვე სადილის დრო მიდის!  
 მოხუცი შხურ ბილკის  
 გახვე ფოთი და კალაიით,  
 ბეფებებს მიინრობის ირგულეც  
 კვლავ დიდნის ჰქონდათ კაბით.

# წერილი იაღონ დიტოს კატრონს მიხოს

გამარჯობა მიხოს!  
მე მეგონა სასწაულები არ ხდებდა, მაგ-  
რამ რაც იმ დღეს მოხდა, ნამდვილ სასწა-  
ულს ჰგავს.

ქარიანი დღე იდგა. მე ჩემს საქმეზე გავ-  
რბოდი.

ერთიც ვნახოთ, ქარმა რაღაც თეთრი  
ფურცელი ზედ გულზე მომაგდო და ამა-  
კრა. ხელის აქნევით მოვიწოდოქა ქალღმის  
მოშორება, მგრამ ვიფიქრე, რაღა ქუჩაში  
ქარის საბორილოდ დავაგდო, ჩავეჭმეჭნი  
და ურნაში ჩავავადებ-მეთქი. ურნას მივუახ-  
ლოვდი, და მაშინღა შევამჩნიე, რომ ქა-  
ლადღზე ფერადი ფანქრებით რაღაც ეწერა.  
ეს შენი წერილი იყო, მიხოს.



პატვცემულო მეზობლებო  
გამიფრობდა დიტო ყოთელა  
იაღონი თუ თქვენთან შე-  
მოვედა ვითხოვთ დამიბრუნოთ  
დიტოს პატრონი მიხოს  
და სახული ბნა ვე

წავიკითხე და ძალიან შევწუხდი. ალბათ  
როგორ გიყვარდა შენი იაღონი, როგორ  
უვლიდი და თავს ევლებოდი — წყალს უცვ-  
ლიდი, საკენკს უყრიდი, კვერცხს უხარშავდი  
და ხელის გულზე დადებულს აჭმევდი. ალ-  
ბათ გაკვეთილების სწავლაშიც გშველიდა  
იაღონის გალობა.

ნეტავ ვის დარჩა გალიის კარი ღია?  
საგონებელში ჩამაგდო შენმა წერილმა,  
მიხოს. მთელი გზა ვფიქრობდი, რა მექნა. წე-  
რილში ხომ არ წერია, რომელ ქუჩაზე და  
რომელ სახლში ცხოვრობ. თუმცა მისამარ-  
თი რად მიწნდა, როცა იაღონი სად არის,  
არ ვიცი. შენი წერილი დავეკეცე და საგულ-  
დაგულოდ შევიწახე.

შინ რომ ვბრუნდებოდი, რატომღაც ვღე-  
ლავდი. ვგრძნობდი, რაღაც უნდა მომხდარი-  
ყო. ვუშიშობდი, ბავშვებმა ხომ არაფერი და-  
აშავეს, ან ხომ არაფერი იტიჩინეს-მეთქი.

ვიბე სულმოუთქმელად ავირბინე, კარს  
რომ მივაღექი, რაღაც უჩვეულო სმაური  
შემომესმა. ძლივს შევაღე კარი, გული ჩიტი-  
ვით მიფრთხიალებდა.

ბავშვები მაგიდას შემოსეოდნენ. სამივე  
ერთად ლაპარაკობდა და რაღაცას უმტკი-  
ცებდნენ ერთმანეთს: შენ კი არა, მე გადა-  
ვარჩინე! მე!.. მე გადავარჩინე!

მაგიდაზე ჩვენი ძველი გალია იდგა (ნე-  
ტავი როგორ ჩამოიღეს სხვენიდან?), გალია-  
ში კი, ქანდარზე, ყვითელი იაღონი წამოს-  
კუპებულიყო და მოკამათე ბავშვებს მძივი-



ვით მრგვალი და კრიალა შავი თვალით ალ-  
მაცერად შეჰყურებდა.

გაოცებისაგან შეეყვირე: — დიტო! —  
და მერე ჩიტს ისე ჩავეკითხე, თითქოს პა-  
სუხის გაცემა შეეძლო:

— შენ მიხოს დიტო ხარ?  
დიტომ თითქოს გაიგონა ჩემი შეკითხვა,  
ხტუნვა-ხტუნვით მომიიხილოვდა და გალი-  
ის ხარისხებს ნისკარტი მიუსე-მოუსევა, ალ-  
ბათ მაკოცა.

მაშ ეს სასწაული არ არის, მიხო? ახლა  
მეორე სასწაული ის იქნება, შენც თუ ვიპოვ-  
ნით და შენი იადონი დაგიბრუნეთ!

— დედა! — დამიძახა ამ დროს უფროს-  
მა ბიჭმა. მე მხოლოდ ახლა გამოვფხიზლ-  
დი და ჯიბიდან შენი ლამაზი ნერილი ამო-  
ვიღე.

— ეს ჩიტი მიხოსია, ბავშვებო, რა კარ-  
გები ხართ, რომ უპოვეთ.

— კი არ ვუპოვეთ, თვითონ შემოფრინდა,  
ქარისაგან სულთმლად აბურძღვული ჰქონ-  
და ბუმბული, მიმისაგან ცახცახებდა. მერე  
იფრინა და იფრინა ოთახებში. ბოლოს კლან-  
ჭით ფარდას გამოედო, ცალი ფეხით ჩამოე-  
კიდა და კინლამ მოკვდა.

— ძლივს ჩამოვსენით. — თქვა შუათანამ.  
— იქ ასვლა ვინ მოახერხა? — ვიკითხე  
მე, შიშით თვალმბგავანიერებულმა.

— მე! — მიპასუხა პატარამ ამაყად და  
მკაცრად.

— ნუ გეშინია, დედიკო, — დამამშვიდა  
უფროსმა. — ეს მაგიდა მივნიეთ, ზედ ერთი  
სკამი შევდგით, ზემოდან კიდევ პატარა სკა-  
მი დავადგით და რადგან ეს ყველაზე მჩა-  
ტეა,—პატარა ძმაზე მიმითითა, — მაღლა ეს  
აუღო. სამაგეოდ ჩვენ ორნი მზად ვი-  
ყავით, რომ თუ გადმოვარდებოდა... — ხე-  
ლით მიჩვენა შუათანამ, როგორ დაიჭერდ-  
ნენ პატარას, და გამიღიმა.

— მერე მე ავედი, — ცალი ხელით სახე  
მისკენ მომატრიალებინა უმცროსმა და ლა-  
პარაკი განაგრძო. — ძლივს გავუხსენი კლა-  
ნჭები, ფარდიდან გამოვაძვრინე და უბეში  
ჩავისვი, მერე ამათ ფრთხილად ჩამომსვეს.  
ესე იგი, მე გადავარჩინე იადონი! — სხაპა-  
სხუპით მომეყარა ეს ბოლო სიტყვები ალბათ  
იმიტომ, სწორედ ამ სიტყვების თქმა ყვე-  
ლასათვის დაეწერო.

— მარტო შენ რატომ, ჩვენ რა ტყუილად  
ვიდგებით დაბლა? არ გახსოვს, როგორ გემი-  
ნოდა მალლიდან ჩამოსვლა? — გაუჯავრდა  
შუათანა პატარას.

— სამივეს გადავიჩინეთ. — ჩუმად  
ვთქვი და სამივე ერთად ჩავიკარი გულში.

— როგორ გავხარდებამიხოს, იადონი რომ  
გადაურჩინეთ. ნყალი დაალევინეთ? ახლა  
ვაჭამოთ! — ბავშვებს პასუხი არ გაუციათ,  
ჩუმად შემომყურებდნენ. მერე პატარამ  
შუბლი შეიკრა: — მიხო ვინლა! არ მივცემ  
იადონს იმ მიხოს!

მე მხრები ავიჩიქე, შენი ნერილი ხელის-  
გულით გავასწორე და ბავშვებს მივანოდე.  
ხმამალლა დაიწყეს კითხვა, დაამთავრეს და  
უცნაურად დადუმდნენ. სამივე მე შემომყუ-  
რებდა თვალბეში. აღარ ვიცოდი საით გამე-  
ხედა და ჭერში დავიწყე ცქერა.

— რა იციან მიხომ, ჩვენ რომ ვიპოვნეთ,  
ა? — იკითხა შუათანამ.

— აბა, რა! — თქვა პატარამ.

— ჩვენ ხომ ვიცით. — თქვა უფროსმა.

— ასე გინდოდათ იადონი? რატომ ერთ-  
ხელ მაინც არ მითხარით. ხვალეე ნაგეყვანთ





ზოომალაზიაში, სამივეს ცალ-ცალკე გიყი-  
დით იადონს. თუ გინდათ, სხვადასხვა ფე-  
რის თუთიყუშებს გიყიდით.

ბავშვებს სიხარული ვერ შევატყვევ. ავდე-  
ქი, სამზარეულოში შევედი და საქმეს შევუ-  
დექი. გული დამიმძიმდა, გუნება გამიფუ-  
ჭდა, მენყინა ჩემი შვილების გულცივობა.  
შენზე ფიქრი მოსვენებას არ მაძლევდა.

ბავშვები ჩუმად იყვნენ, ცალი თვალით  
გაეხედე, სამივე მაგიდას დაყრდნობოდა და  
იადონს შესცივინებდა.

— ალბათ როგორ უყვარს მიხოს თავისი  
იადონი. — თქვა უფროსმა.

სამივემ ერთად ამოიოხრა.

— ვინ იცის, იქნებ ტირის. — თქვა პატა-  
რამ.

— დაფუბრუნოთ. — თქვა შუათანამ.

არც ერთს სმა არ ამოუღია.

— დედაა! — დამიტახეს მერე.

იმედი შემეპარა და სიამოვნებით გამო-  
ვეხმაურე.

— მიხოსაც იცნობ?

„ეს უკვე საქმიანი შეკითხვაა, გავი-  
ფიქრე, ხელები შევიწმინდე და გახარებულნი  
გავედი ბავშვებთან.“

— არა, არ ვიცნობ, მაგრამ ალბათ კარგი  
ბიჭია. თავისი იადონი დიტო უყვარს და და-  
ეძებს.

— სახლი რომ არ ვიცით? — ისევ ეჭვის  
თვალით მიცქერდა შუათანა.

— ამიტომ იადონი ჩვენია. — ისევ შეკრა  
კოპები პატარამ.

— მოიცა, ერთი შენ, დაგიჯინია — ჩვე-  
ნია და ჩვენიაო! არ არის ჩვენი, ველარ გაი-  
გე! რა ექნათ, დედა? — ახლა მე მომიბრუნ-  
და უფროსი.

— მოვიფიქროთ, ვიკითხოთ. სადღაც ახ-  
ლოს ცხოვრობს მიხო, თორემ ჩვენთან არ  
შემოფრინდებოდა იადონი.

— გაზეთში გამოვაცხადოთ.

— გაზეთში კი არა „დილაში“ აჯო-  
ბებს. — თქვა შუათანამ.

— რატომ „დილაში“?

— წერილს ეტყობა, მიხო პატარაა, „ნორ-  
ჩი ლენინელი“ ჯერ არ ექნება გამონერილი.

ასე გადაწყვეტილთ მოგვეწერა შენთვის  
წერილი, ჩემო მიხო. მისამართს „დილის“  
რედაქციაში გეტყვიან. მერე მობრძანდი  
ჩვენთან და შენი იადონი დიტო წაიყვანე.

3030 მღვდარსვილი

## იკორთა

ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ძეგლი იკორთა ქალაქ გორის ჩრდილოეთით მდებარეობს. იგი აგებულია 1172 წელს. ტაძარი შემკულია ქართული ჩუქურთმებით, იქვე ახლოს კი ქსნის ერისთავთა ციხე-დარბაზის ნანგრევებია შემორჩენილი.


იკორთის ტაძარი ჩვენში ცნობილი და სახელმწიფო დაცვით, რომ ამ ტაძარში დაკრძალული არიან საქართველოს თავისუფლებისათვის თავდადებული ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ერისთავები. ამ ქვმშარიტმა მამულიშვილებმა 1659 წელს ირანის წინააღმდეგ აჯანყება მოაწყვეს და კახელთა, თუშ-ფშავე-ხევსურთა და ქართლელთა ერთიანი ლაშქრით სასტიკად დაამარცხეს უძლველობით ცნობილი ირანის შაჰი.

გამძვინვარებულმა შაჰმა აჯანყების მოთავენი თავისთან დაიბარა. წინააღმდეგ შემთხვევაში კახეთს დიდძალი ლაშქრის შემოსევით და აოხრებით დაემუქრა.

სამშობლო რომ საფრთხისაგან და ზედმეტი სისხლისაგან ეხსნათ, სამივე ვაჟკაცი ეახლა შაჰს, რომელმაც ისინი სიკვდილით დასაჯა.

მადლიერმა ქართველმა ხალხმა მათი ნეშტები სამშობლოში ჩამოასვენა და იკორთის ტაძარში დაკრძალა.

კარგად დაიმასსოვრეთ, ბავშვებო, თქვენი გმირი წინაპრები ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ერისთავები და ნურასოდეს დაივიწყებთ მათს თავგანწირვას. როდესაც იკორთის ტაძარში მოხვდებით, აუცილებლად მოინახულეთ მათი წმინდა საფლავები.





ბიროკი პაპაუფილი

## გყეუი ნააბოგი კომბლეს ზლაპარი

პაპამ თავისი „ნივა“ შუა ტყეში, ველიანზე გააჩერა: აქ კარგი ადგილია, ამის იქით უკვე უღრანი ტყე იწყება.

გოგო-ბიჭები მანქანიდან გადმობტდნენ და ველიანზე კოტრიალი დაიწყეს.

არჩილმა მოღბურტი გაშალა და ხატვას შეუდგა. ბიჭები არჩილს შემოეხვივნენ, გოგოები კი პაპას აედევნენ და, როცა პაპა დასასვენებლად მწვანეზე წამოწვა, ისინიც გარს შემოუსხდნენ:

— პაპა, კომბლეს ზლაპარი გვიამბე, პაპა! პაპა რის პაპას, თუ შეილიძვილებს ზლაპარს არ უამბობს?! ჰოდა, იმანაც მაშინვე დაიწყო ზლაპარის მოყოლა.

ბიჭებმა ერთხანს უყურეს არჩილს, მერე მოეწყინდა და წარარსაკენ წავიდნენ. ჯერ წყალი დალიეს, მერე შაშვებს გაედევნენ, ბილიკზე გავიდნენ და უღრანის გზაზე აღმოჩნდნენ.

— უღრანი ტყისა არ მეშინია! — თქვა პაპარმა.

— არც მე მეშინია! — განაცხადა პაპატამ, — ვატოც გულადი ბიჭია.

— მეც გულადი ვარ! — ხელი გაიკრა ქიტესამ გიგა პაპას გათლილ ხის ხმალზე.

ბიჭებს გაახსენდათ, იარალი რომ არ ჰქონდათ, მაგრამ მოაგონდათ, „ნივის“ საბარგულში პაპას ორლულიანი თოფი რომ იდო და ერთბაშად დაძმვიდნენ. არაფერისაც არ გვეშინიაო, ერთხელ კიდეუ დაადგინეს და გზას გაუდგნენ.

შემოხვდათ მელია.

— ძმებო, ვისი ხართო?

— გიგა პაპასიო.

— გიგა პაპა რა მოხელე კაციაო?

— გიგა პაპა ის კაცია, „ნივა“ და ორლულიანი თოფი რომ აქვსო. თუ რამეს დაგვიშავებ, მთვარეზეც რომ გაიქცე, თავისი „ნივით“ იქაც მოგნახავს და შვე დღეს დაგაყენებსო.

— მაგარი ყოფილა ის თქვენი გიგა პაპა და იმისი შიშით რას დაგიშავებთო? — გზიდან ჩამოცვალათ მელია და ბიჭებმაც გზა განაგრძეს.

შემოხვდათ დათვი:

— ასეთი გულადი ბიჭები ვისები ხართო?

— გიგა პაპასიო.

— გიგა პაპა რა მოხელეაო?

— გიგა პაპა ის კაცია, „ნივა“ და ორლულიანი თოფი რომ აქვსო. თუ რამეს დაგვიშავებ, მთვარეზეც რომ გაიქცე, თავისი „ნივით“ იქაც მოგნახავს და შვე დღეს დაგაყენებსო.

— მაგით ვერ შემამინებთო. კომბლეს ზლაპარი თუ იცის იმ თქვენმა გიგა პაპამო?

— იცის რომელიაო. რაც ქვეყანაზე ზლაპარებია, ყველა იცისო.

— აბა, მამ გაადეციო, რომ ის დათვი ჩემი პაპა იყო და კომბლესი მამინ სულაც არ შემსინებიაო. ხათრი ჰქონდა და იმიტომ არ შეჭამა იმისი ცხვრებიო. ჰოდა, მეც ახლა გიგა პაპას ხათრით არაფერს განყენინებთ და გზა მშვიდობისა გქონდეთო!

გაუშვა დათვმა და კვლავ გზა განაგრძეს.

შემოხვდათ მგელი:

— ე, რა ყატიყუტით მოდიხართ, ვინა ხართ ეგეთი გულადებიო? — თვალები დაუბრიალათ მგელმა და ბიჭებს ცოტათი შეეშინდათ.

— ვინა ვართ და გიგა პაპას ბიჭები ვართო.

— მე რომ არ ვიცი, ვინ არის თქვენი გიგა პაპაო?

— გიგა პაპა ის კაცია, „ნივა“ და ორლულიანი თოფი რომ აქვსო. თუ რამეს დაგვი-

შავებ, მთვარეზეც რომ გაიქცე, იქაც მოგ-  
ნახავს და შავ დაღვს დაგაყენებოს.

მგელმა ისეთი გლდანხარხარა, ჩიტები ში-  
შისაგან ხიდან აფრინდნენ და სადღაც გა-  
დაიკარგნენ.

— თქვენი გიგა პაპა კოსმონავტი ხომ არ  
არის, მთვარეზე ასვლა რომ შეეძლოს?  
თქვენაო, კომპლუსდროინდელი ჩამორჩენი-  
ლი მგელი ხომ არა გაგონივართ? თოფითა  
და „ნივით“ დღეს ველარაგის გააკვირვებთო.

— მაშ, რით გაგაკვირვებთო?  
— ტყუა-ტონითაო, მოხერხებითაო,

შრომითა და ცოდნითაო...  
ამასობაში პაპამ ზღაპრის თქმა მოათავა  
და არჩილთან მივიდა:

— ბიჭები სად არიან?  
— შენთან არ იყვნენ? — აიხედა არჩილ-

მა.

მოშვეწენ ძახილს, მაგრამ არავინ გამო-  
ეპასუხათ.

პაპამ მანქანის საბარგულიდან თოფი  
ამოიღო და ბიჭების საძებნელად წავიდა.

შემოსვდა მგლია.

— მგლია, ჩემი ბიჭები არ გინახავსო? —  
ჰკითხა პაპამ და თვალბეში ჩააცქერდა, არ  
მომბაყუოსო.

— როგორ არაო. ოთხი ლამაზი ბიჭი აი,  
იქით, დათვის სატყეოსაკენ გავაცილეო.

განაგრძო გზა.

შემოსვდა ახლა დათვი.

— ჩემი ბიჭები არ გინახავსო?

— ლმერთმა გაგიმრავლოს, კარგი ბიჭე-  
ბი გყოლიაო! — დალოცა დათვიმ, — ენახო,  
მაგრამ შენი ხათრით ხელს როგორ ვახლებ-  
დი. გაფუჭი და მგლის სატყეოსკენ წავიდ-  
ნენო.

— მაგასაც ახლავე გავიგებო, — უთხრა  
გიგა პაპამ და გაშორდა.

შემოსვდა მგელი.

— ჩემი ბიჭები არ გინახავსო? — ჰკით-  
ხა გაგეფისებულმა პაპამ.

მგელმა ბრჭყვიალა ორლულიანს თვალი  
ცვრად შეავლო და ცოტათი შეკრთა:

— რა გაბრაზებული ხარ, შე კაი კაცო,  
ჯერ გამარჯობა მითხარი და მერე მკითხო.  
თუ არადა. ის შენი ბიჭები თვითონ მოვიდნენ  
ჩემთან, მე ხომ არ მოვიტაცეო. აგერ სად  
არისო. — მიახედა მგელმა დიდი წიფ-  
ლისაკენ და პაპამ დაინახა, რომ მისი ბიჭე-  
ბი და მგლის ლეკვები ერთმანეთს ებურგლა-  
ვებოდნენ. კოტრიკლებდნენ და ყირა-ყირა  
გადადიოდნენ. ხან ერთი იყო ზემოდან და  
ხან მეორე.

— მე კი მეგონა, ბავშვებს შემეჩამდი, —  
უთხრა პაპამ მგელს.

— კომპლუს მგელი ხომ არა გგონივარ,

რომ ღორმუცელა ვიყო, — ჩაიტრიახა  
მგელმა და ნელში გაიდრიცა, — „აბა დამა-  
ცადე“ თუ გინახავს კინოში, იქ რომ მგელია,  
იმისი ძმა ვარ. ვურჩიე, ქალაქში ნუ წახვალ,  
სოფელში დარჩი-მეთქი, მაგრამ არ დამიჯე-  
რა. წავიდა, იქ გართობას გადაყვება და  
უშვილძიროდ გვიბერდება. აქ რომ დარჩენი-  
ლიყო, ორიოდე ლეკვს შეგემატებდა და ეგა-  
ბის გადაჯიშებისაგან დაგვეხსნა სამგლეთი.

— მეორედ, არ უნდა გადაშენდეს სამგლე-  
თი? — გააკვირვა გიგა პაპამ, — ვითომ რას  
არგინხარ ამ ტყე-მინდორს, ყველას თქვენი  
ემინია!

— ტყე-მინდორს იმას ვარგევართ, რომ  
ცხოველთა სანიტრები ვართ. ჩვენ რომ არ  
იყვნეთ, ავადმყოფობა დაეროდით და ყვე-  
ლანი დაიხოცებოდნენ. აღარც ხალხისათვისა  
ვართ საშიშნი: ძველი დრო აღარ არის, ჩვე-  
ნი წინაპრები სოფელ-სოფელ რომ დაეხტე-  
ბოდნენ და ბატკნებს იტაცებდნენ, უღრან  
ტყეში უსხედვართ და თუ თვითონ არავინ  
ჩაგვივარდა პირში, თავს არავის ვესხმით.  
ისე კი შენი შვილიშვილები გააფრთხილე,  
მარტონი აღარ წამოვიდნენ. მე კი არ შეეჭამ,  
მაგრამ რამდენი შეუგუნებელი მგელია და  
ღორმუცელია არ დაეფიცება.



მჭე. სსრ კ. მარტონი  
სახ. საბ. რესპუბ.



# პაპა

პაპას ჩოხა ჩაუცვამს,  
 წვეფრი დაუვარცხნია,  
 გამოსულა ქუნაში,  
 სანჯალზე აქვს ცაცია...  
 მარჯვენათი გრძელ ჩიბუსს  
 აბოლებს და აბოლებს.  
 დეას და ფიქრით განცქეპრის  
 სოფლის მიღმა—მოთავოტრებს...  
 ალბათ ეს მწვანე მთები  
 სიუმაწვილეს ავონებს!


მხატვარი ირაკლი შარაზინანი



სულხან აბაღლაძე


# ხათუნა და სკილო

ხათუნიკოს ესვეწება  
 შოთაბრკის სწილო:  
 — ერთი ლექსი მითხარო,  
 თანაც სასაცილო.  
 ცოტა გულზე რომ მომეშვას,  
 ვიხარნართ მაგრად...  
 ხათუნიკომ გაიღიმა,  
 — კი, ბატონო, მაგრამ  
 მე რომ ერთი ლექსი ვიცი,  
 ჰატარა და მცირე,  
 ამოდენა სწილოს, აბა,  
 როგორ გაუაციანებს.



# ქალენარი

შოთა აპირანაშვილი



ის ფასის მთიდან გამოდის და მერე შავ ზღვას ერთვის, თუ ასოების გადასმატ ძნელი არ არის შენთვის, რომელ ბოსტნეულს მიიღებ, გამაგებინე ერთი.

# კატეგორია



წრიპინ-წრიპინით ქალაღლს აპკურა გიშრის ნაბი, ციკენა ფოლიადი ვახლოავს, მარცვადი არის საბი, შეცვალე წინა ბგერა და დავასრულოთ ამით— მეგობარსა და ნაცნობს არ დაუყვებო წაბით.



საქართველოს აღკკ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს შურაშილი უმცროს-კლასელთათვის.

გამოდის 1925 წლიდან.  
საკ. კვ ცკ-ის გამოცემლობა.

მთავარი რედაქტორი  
ანნა ნიშარაძე

სარედაქციო კოლეგია: ელზარ ზაზუაძე, მანანა ანთაძე, ლამარა ბაბუა, შირაზ დავითაშვილი, სოლომონ დემურაშვილი, ლილია შარაძე, ველა ლოსაძირიძე, მანაველა მრავალშვილი, ჯურაბ ნაღრაძე, გიორგი ბრინეშვილი (სამხატვრო რედაქტორი), თინათინ ნალაური (პედაგოგი), გივი მნელაძე, გივი შიშინიძე, გარინა ხარაბიშვილი.

ტექნიკური რედაქტორი  
ენდი წერეთელი

მისამართი: რედაქციის, გამოცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: შთ. რედაქტორის 93-41-80, 93-95-15; პედაგოგი 93-10-22, 93-95-15; სამხ. რედაქტორის — 93-95-15; განყოფილებების: 93-95-19; 93-95-17.  
გადაცემა ასაწეობად 30.04.86 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 2.07.86 წ. ქალაქის ზომა 60x90<sup>1</sup>/<sub>2</sub>, ფხვ. ნახ. ფურც. 2,5. ტირაჟი 185.000, შედეგითა 1105.

ულაზე ნახტი ბანკი  
შიდაშვილისა

«Дилла» («Утро»), ежемесячный журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации им. В. И. Ленина для младшеклассников, на грузинском языке.  
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии.  
Главный редактор Энвер Нишарадзе (тел. 93-41-30).  
Адрес редакции и издательства: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.  
Объем 2,5 печатных листа, тираж 168.000. Заказ № 1105.

